ანა ჯაფარიძე*

სტუდენტური გაერთიანებების როლი ახალი პოლიტიკური სცენის ფორმირებაში და მათი გავლენა ევროპული მომავლისათვის ბრძოლაზე საქართველოში

აბსტრაქტი

კვლევა განიხილავს სტუდენტური გაერთიანებების როლს საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტში, ფოკუსირებულია მათ ორგანიზაციულ დინამიკაზე, მოტივაციასა და გავლენაზე. სოციალური მოძრაობის, რესურსების მობილიზაციის და პოლიტიკური შესაძლებლობების თეორიების გამოყენებით, კვლევა აანალიზებს, თუ როგორ ზემოქმედებენ სტუდენტური გაერთიანებები ეროვნულ დისკურსსა და საქართველოს ევროპულ მისწრაფებებზე. კვლევა ხაზს უსვამს სტუდენტური მოძრაობების კოლექტიურ იდენტობას, რესურსების მობილიზაციის სტრატეგიებს და მათ რეაგირებას პოლიტიკურ შესაძლებლობებზე, რაც მათ სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების აგენტებად წარმოაჩენს.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტური მოძრაობები საქართველოში, ევროინტეგრაცია, სოციალური მოძრაობები.

შესავალი

ფონი:

სტუდენტურმა გაერთიანებებმა პოლიტიკური ლანდშაფტების ჩამოყალიბებასა და სოციალური ცვლილებების ადვოკატირებაში ისტორიულად გადამწყვეტი როლი ითამაშეს. საქართველოში, 2023 – 2024 წლების საპროტესტო ტალღის დროს სტუდენტური გა-

---

* პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი.

ერთიანებების გაჩენამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ეროვნულ პოლიტიკასა და ქვეყნის ევროპულ მომავალზე მათი პოტენციური გავლენიდან გამომდინარე. ამ გაერთიანებების დინამიკის, მოტივაციისა და ზემოქმედების გაგება გადამწყვეტია მათი როლის გასააზრებლად საქართველოს განვითარებად პოლიტიკურ სცენარში.

კვლევის კითხვები:

- როგორია სტუდენტური გაერთიანებების ორგანიზაციული დინამიკა საქართველოში?
- როგორ მოქმედებენ სტუდენტური გაერთიანებები პოლიტიკურ დისკურსზე საქართველოში?
- რა გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე დგანან სტუდენტური გაერთიანებები?

თეორიული ჩარჩო:

ქართული სტუდენტური გაერთიანებების როლის ანალიზი სამ ძირითად სოციალურ და პოლიტიკურ თეორიას ეყრდნობა:

სოციალური მოძრაობის თეორია გვეხმარება, გავიგოთ, თუ როგორ მოქმედებენ სტუდენტური გაერთიანებები, როგორც სოციალური მოძრაობები, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან საერთო იდენტობაზე, მიზნებსა და მდგრად ჩართულობაზე.

რესურსების მობილიზაციის თეორია შეისწავლის, თუ როგორ ახდენენ სტუდენტური გაერთიანებები რესურსების, მათ შორის, დაფინანსების, ადამიანური და თავიანთი საქმიანობის მხარდამჭერი ქსელების მობილიზებას.

პოლიტიკური შესაძლებლობების თეორია იკვლევს, თუ როგორ მოქმედებს პოლიტიკური გარემო სტუდენტური გაერთიანებების სტრატეგიებსა და ეფექტურობაზე, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა მთავრობის ქმედებები და საზოგადოების რეაქცია.

მეთოდები

კვლევის დიზაინი:

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც მოიცავს ინტერვიუებს 2023 – 24 წლების საპროტესტო ტალღის პერიოდში და მანამდე ჩამოყალიბებული სტუდენტური გაერთიანების წევრებთან. დიზაინი აერთიანებს ღია კითხვარებს და სიღრმისეულ ინტერვიუებს მონაწილეთაგან მდიდარი, დეტალური მონაცემების მოსაპოვებლად. კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა ხუთი სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენლებთან. GIPA-ს სტუდენტური მოძრაობის შემთხვევაში, გენდერული ბალანსის დაცვით, ჩატარდა კომბინირებული სიღრმისეული ინტერვიუ 2 რესპონდენტთან. სტუდენტური მოძრაობების წევრების დღის წესრიგიდან და დროის დეფიციტიდან გამომდინარე, კვლევაში გამოყენებულია ღია კითხვარი „დაფიონის“ (1 რესპონდენტი), საქართველოს უნივერსიტეტის (1 რესპონდენტი), კავკასიის უნივერსიტეტის (1 რესპონდენტი) და მაისის სტუდენტური მოძრაობების (2 რესპონდენტი) წევრებისთვის. ინტერვიუები მიზნად ისახავდა მოძრაობების ორგანიზაციული დინამიკის, მოტივაციისა და პოლიტიკური ზეგავლენის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვებას.

მონაცემთა შეგროვება:

ღია კითხვარები გავრცელდა როგორც ონლაინ, ასევე, სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით. კითხვარი ყველა რესპონდენტისთვის იდენტური იყო, გარდა იმ დამატებითი შეკითხვებისა, რომლებიც სიღრმისეული ინტერვიუს შემთხვევაში წარმოიშვა. ინტერვიუს გზამკვლევი მოიცავდა კითხვებს, რომლებიც შემდეგ თემატურ ჯგუფებში გაერთიანდა: სტუდენტური მოძრაობების პროფილი - დემოგრაფიული მახასიათებლები და აკადემიური წარმოშობა, სტუდენტური მოძრაობის წევრობა და ისტორია,

საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მოტივები; ურთიერთქმედების, კოორდინაციისა და ორგანიზაციის ანალიზი - კავშირი და კოორდინაცია, ორგანიზაციული სტრუქტურები, კავშირები სხვა გაერთიანებებთან; შეხედულებები სტუდენტთა პროტესტზე - ძირითადი საკითხები და მოთხოვნები, საინფორმაციო მხარდაჭერა და ინკლუზიური თანამონაწილეობა; იდეების მიღება და ინტეგრაცია - მოლაპარაკება და განსხვავებული შეხედულებების ინტეგრაცია, კონსენსუსისა და უთანხმოების პუნქტები; საერთო ღირებულებების კვლევა; პოტენციური განვითარების სცენარების შეფასება; თავსებადობა ეროვნულ საჭიროებებთან და პოლიტიკურ უსაფრთხოებასთან; რისკები და არასასურველი შედეგები.

მონაცემთა ანალიზი:

ინტერვიუს მონაცემების გასაანალიზებლად კვლევაში გამოყენებულია თემატური ანალიზი. პასუხები იყო კოდირებული და დაყოფილი საკვანძო თემებად, რაც სტუდენტური გაერთიანებების როლისა და გავლენის შესახებ სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა. უნდა აღინიშოს, რომ განსაკუთრებით ამომწურავი და შთამაგონებელი იყო ინტერვიუ GIPA-ს სტუდენტური მოძრაობის წევრებთან, რადგან მათ მიერ გაჟღერებულმა საკითხებმა კვლევაში სივრცე წარმოქმნა ისეთი რეალური ასპექტებისთვის, როგორიც არის პარტიული ინტერესების მატარებელი გაერთიანებები და გარკვეული დაკვირვება მათი გავრცელების არეალის შესახებ. მონაცემთა ანალიზი ეფუძნება ზემოაღნიშნულ სოციალურ და პოლიტიკურ თეორიებს.

შედეგები

ფორმირება და მოტივაცია:

კვლევაში მონაწილე სტუდენტური მოძრაობები მათი დაარსების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა: ზოგიერთი მათგანის ჩამოყალიბება უკავშირდება 2023 – 24 წლების საპროტესტო ტალღას „რუსული კანონის“ წინააღმდეგ, ზოგიერთი კი, უფრო ადრე, უმაღლესი განათლების და სოციალურ-პოლიტიკური გამოწვევების ფონზე ჩამოყალიბდა:

„2022 წელს... ბინის გადასახადის გაზრდის გამო, მრავალი სტუდენტი ვერ ჩამოვიდა თბილისში. უნივერსიტეტის რექტორმა კი, მიუხედავად ამისა, მაინც მოითხოვა აუდიტორიული სწავლება. ჩვენი პროტესტიც მოცემულ გადაწყვეტილებას უკავშირდებოდა. ვითხოვდით ონლაინ სწავლებით დასრულებას არსებული სემესტრის, ახალი საერთო საცხოვრებლის მშენებლობას და რექტორის არჩევის წესის ცვლილებას.“ (მაისის სტუდენტური მოძრაობა. რესპონდენტი 1. 28.06.2024).

„ჩვენი მოძრაობა უკრაინაში ომის დაწყებიდან აქტიურ მონაწილეობას იღებს ყველა პროცესში.“ (დაფიონი. 21.06.2024).

„რაღაც ეტაპზე მივხვდი, რომ პროცესებში უფრო აქტიურად უნდა ჩავრთულიყავი და ამას მარტო ვერ შევძლებდი, რადგან საჭირო იყო ადამიანები, ვისთანაც კოორდინაციაში ვიქნებოდი და ერთად ვიბრძოლებდით ევროპული მომავლისთვის. სწორედ, მაშინ დაიწყო ქვეყანაში სტუდენტური სეგმენტის აქტიურობა და მეც აქტიურად ჩავერთე პროცესებში.“ (საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა. 26.06.2024).

„GIPA-ს სტუდენტური მოძრაობა ჩამოყალიბდა ზუსტად ამ რუსულ კანონთან დაკავშირებით.“ (GIPA-ს სტუდენტური მოძრაობა. რესპონდენტი 1. 14.06.2024).

„კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, სპონტანურად შეიქმნა. ყველაფერი

დაიწყო 11 აპრილს, როცა მე, მარიამ მურუსიძე, ჩემს მეგობარს, GIPA-ს სტუდენტური მოძრაობის დამფუძნებელს შევხვდი.“ (კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა. 20.06.2024).

გენდერული ბალანსი:

გენდერული დინამიკა სტუდენტურ გაერთიანებებში განსხვავებულია. ზოგიერთ მათგანში გენდერული ბალანსი ქალთა სასარგებლოდ არის დაცული ან პირიქით, ზოგიერთში კი, მდგომარეობა თანაბარია:

„წარმომადგენლები გვყავს, თითო ადამიანი ყველა კორპუსში. ძირითადად, ალბათ, 3-4 ადამიანის გამოკლებით, ყველა გოგოა.“ (GIPA-ს სტუდენტური მოძრაობა. რესპონდენტი 2. 14.06.2024).

„წევრების ასაკი 19 წლიდან 24 წლამდეა. ეთნიკურად ყველა ქართველია. 8 გოგო და 12 ბიჭი.“ (მაისის სტუდენტური მოძრაობა. რესპონდენტი 1. 28.06.2024).

„ჯგუფში, ფაქტობრივად, თანაბრადაა გადანაწილებული გოგოების და ბიჭების რაოდენობა.“ (დაფიონი. 21.06.2024).

საპროტესტო საკითხები და კოორდინაცია:

სტუდენტური მოძრაობები განსხვავდებიან მათი საპროტესტო ნარატივის მიხედვით. *ფრეიმინგის თეორია* (Goffman, 1974) განმარტავს, თუ როგორ ქმნიან ეს მოძრაობები თავიანთ გზავნილებს მხარდაჭერის მობილიზებისთვის. მაგალითად, GIPA-ს სტუდენტურმა მოძრაობამ, რუსულ კანონთან ერთად, დაგმო კვოტირების გაუქმება და კანონი ე.წ. „ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ“ (აღნიშნავენ, რომ იმ ეტაპზე „ოფშორების კანონი“ არ იყო დღის წესრიგში). მოძრაობა დაფიონი უკრაინაში ომის დაწყების დღიდან გააქტიურდა (მარტის აქციები, საკრუიზო ლაინერის „ასტორია გრანდეს“ აქცია და 2024 წლის გაზაფხულის პერმანენტული სტუდენტური აქციები). საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა კი, იხსენებს დიდ სტუდენტურ მსვლელობებს მათი

ორგანიზებით. მაისის სტუდენტური მოძრაობის აქციები 2022 წლის გაზაფხულიდან დაიწყო და თავდაპირველად უკავშირდებოდა უმაღლესი განათლების სისტემურ პრობლემებს. ამ ეტაპზე მათი აქტივობები მრავალფეროვანი და სოციალურად აქტიურია. სტაბილურად მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებულ საპროტესტო აქციებში (მაღაროელების გაფიცვა, აქციები რაჭის ტყის გასხვისების წინააღმდეგ, პროტესტი საბანკო და მევახშეობის პოლიტიკის წინააღმდეგ, მსვლელობები უფასო სასკოლო კვებისა და საერთო სტუდენტური საცხოვრებლის მოთხოვნით). ფართო და მდგრადი აქტივიზმის ასეთი მაგალითი ეხმიანება *რესურსების მობილიზაციის თეორიას* (McCarthy & Zald, 1977), რომელიც ხსნის, თუ როგორ ხდება რესურსების სტრატეგიული გამოყენება სოციალური პრობლემების ფართო სპექტრის მოსაგვარებლად. ამის მიზეზი არის ის, რომ მოძრაობა ყველა აღნიშნულ საკითხს ურთიერთდაკავშირებულ სისტემურ პრობლემად აღიქვამს. მაისის სტუდენტური მოძრაობა, კვლევაში ჩართული სხვა მოძრაობებისგან განსხვავებით, არ მონაწილეობდა „რუსული კანონის“ წინააღმდეგ აქციების ორგანიზების პროცესში, მაგრამ მისი წევრები ცალკეულად მონაწილეობდნენ აქციებში.

საპროტესტო ტალღის განვითარების ტრაექტორიის შეფასება

მოძრაობები საპროტესტო ტალღის განვითარების ტრაექტორიას განსხვავებული პრიზმიდან აფასებენ. მოძრაობა „დაფიონი“ თვლის, რომ საპროტესტო მუხტი შემცირებულია, რასაც ხელი შეუწყო სხვა ორგანიზატორების არაპრაგმატულმა გადაწყვეტილებებმა, მაგრამ ამას არა საფრთხედ, არამედ ბუნებრივ პროცესად აღიქვამენ და თვლიან, რომ მთავარი მიღებული გამოცდილებაა. საქართველოს უნივერსიტეტის მოძრაობის ყოფილი წევრის თქმით, საპროტესტო ტალღა ახლა სრულიად არჩევნებისკენ არის მიმართული, რომელიც 26 ოქტომბერს ჩატარდება. მაისის სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წევრის აზრით, პროტესტი რეაქციული

აღმოჩნდა, რომელიც არჩევნებისთვის მოლოდინში ტრანსფორმირდა და ამას უარყოფითად აფასებს. პროტესტის დადებით მხარედ თვითორგანიზებულობას და დამოუკიდებლობას ასახელებს, ნაკლოვანებად კი, მოთხოვნების ბუნდოვანებას. მისი კითხვაა - „რომელი ევროპა გვინდა?“ (ულტრა მემარჯვენე, ნაცისტური, ნეოლიბერალური თუ პროგრესული და სოციალურ კეთილდღეობაში გამოხატული?).

გარდამტეხი მომენტები

GIPA-ს სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი თანადამფუძნებლის თქმით, 2024 წლის გაზაფხულზე მუხტი იმდენად ძლიერი იყო, რომ მოძრაობა ფაქტობრივად 48 საათში შეიქმნა. თუმცა, ამას ნიადაგი ჰქონდა: ბოლო ერთი წლის განმავლობაში სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია და აზრთა გაცვლა ჰქონდათ ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესთან დაკავშირებით. მოძრაობა „დაფიონის“ სტაბილური აქტივიზმის მიუხედავად, მათი კიდევ უფრო გააქტიურების მიზეზი დარბევები გახდა, რასაც, ასევე, გარდამტეხ მომენტად ასახელებს კავკასიის უნივერსიტეტის მოძრაობის დამფუძნებელიც. ეს მომენტები ეხმიანება *პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურების თეორიას* (Tarrow, 1998), რომელიც ამტკიცებს, რომ მოვლენებმა ან კრიზისებმა შესაძლოა, მოძრაობების საქმიანობის ესკალაციისთვის დამატებითი პირობები შექმნან. მაისის სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წევრი კი ასეთ მომენტად ქვეყნის სუვერენულობის და ევროინტეგრაციის საკითხის ეჭვქვეშ დაყენებას თვლის.

პროტესტის არგუმენტაცია

სტუდენტური მოძრაობების მხრიდან პროტესტის არგუმენტაცია შემდეგ საკითხებს მოიცავს: GIPA-ს სტუდენტური მოძრაობის თანადამფუძნებელი ხაზს უსვამს, რომ ამ გამოწვევამ საზოგადოების განსხვავებული ჯგუფები გააერთიანა, რამაც სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურის უმოკლეს დროში მკვეთრი გან-

ვითარება გამოიწვია. ეს პროცესი გვახსენებს *კულტურული ტრავმის თეორიას* (Alexander, 2004), რადგან ის განმარტავს, თუ როგორ სწრაფად გარდაქმნის საერთო ტრავმატული მოვლენები საზოგადოებრივ ნორმებს და ღირებულებებს, აძლიერებს კოლექტიურ იდენტობას და სამოქალაქო ჩართულობას. რესპონდენტი, ასევე, საქართველოს გეოპოლიტიკურად განპირობებულ არჩევანზე საუბრობს და თვლის, რომ სულ ორი არჩევანი არსებობს, ჩვენ კი, ბეწვის ხიდზე გავდივართ. პროცესს აღწერს, როგორც ავტოკრატიის წარუმატებელ მცდელობას, რამაც, საბოლოოდ, საზოგადოებაში შიშის ნაცვლად, უფრო დიდი პროტესტი გააღვივა. ეს სცენარი *უკუშედეგის თეორიას* (Norris, 2019) ერგება, სადაც სამთავრობო რეპრესიები ან ავტოკრატიული მცდელობები, მორჩილების ნაცვლად, საზოგადოების გაძლიერებულ მობილიზაციას და წინააღმდეგობას იწვევს. მეორე წევრი სვამს შეკითხვას, თუ რატომ მოიქცა ხელისუფლება თვითდესტრუქციულად არჩევნების წინ. მისი ვარაუდის თანახმად, მიზეზი „რუსული კანონის“ რამდენიმე პრორუსულ სახელმწიფოში ერთდროულად შემოტანაა და რუსეთის მხრიდან, სავარაუდოდ, იმაზე უფრო დიდი საფრთხის შემცველი მუქარა, ვიდრე საზოგადოებრივი პროტესტია. „დაფიონის“ წევრი ამბობს, რომ „დემოკრატია ჩვენს ქვეყანაში მკვდარია, სუვერენიტეტი რეანიმაციაშია, სამართლიანობა კი უსამართლობამ შთანთქა“. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობის ყოფილი წევრი სტუდენტური პროტესტის გააქტიურების ფაზად სწორედ ბოლო ორ წელიწადს მიიჩნევს. მაისის სტუდენტური მოძრაობის წევრიც ბოლო ორ წელიწადს ახასიათებს, როგორც მთავრობის ავტორიტარულ კონსერვატორულ ძალად ჩამოყალიბების ფაზას (კომპრადორად ჩამოყალიბების ფაზას).

ქართული პოლიტიკური ლანდშაფტის შეფასება

ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტს სტუდენტური მოძრაობის წევრები რთულად აფასებენ. GIPA-ს სტუდენტური მოძრა-

ობის წევრის თქმით, პოლიტიკური ლანდშაფტი არ იძლევა საშუალებას, რომ მოქალაქე დარწმუნებული იყოს მის არჩევანში. თუმცა, ცვლილების აუცილებლობას უსვამს ხაზს, რადგან იმისთვის, რომ ოდესმე კარგი პოლიტიკური სხეული მივიღოთ, საჭიროა, ამ ეტაპზე ოდნავ მაინც გავაუმჯობესოთ ის. მეორე წევრის აზრით, ბუნებრივია, რომ არაჯანსაღი პოლიტიკური ლანდშაფტი გვაქვს. განსაკუთრებით, იქ, სადაც ქვეყანა დემოკრატიიდან ავტოკრატიაში გადადის. *ტრანზიციის თეორია* (Levitsky & Way, 2010) ხსნის პოლიტიკური გარდამავალი ფაზისთვის დამახასიათებელ გაურკვევლობებსა და გამოწვევებს. რესპონდენტის აზრით, პარტიების მრავალფეროვნების პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს ნდობა პოლიტიკური ძალების და ფიგურების მიმართ. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობის წევრი აღნიშნავს პარტიების მცდელობას, წინ წამოწიონ ახალი, სუფთა პოლიტიკური სახეები, თუმცა, ამ მცდელობის წარმატებულობას ეჭვქვეშ აყენებს. მისი აზრით, საქართველოს პოლიტიკა მეტამორფოზის სტადიაშია. მაისის სტუდენტური მოძრაობის აზრით, პოლიტიკური ლანდშაფტის გაჯანსაღებისთვის საჭიროა პერიფერიიდან წამოსული სახალხო წინააღმდეგობა (ნამახვანი, ჭიათურა, ბალდა და სხვ.). ეს მოსაზრება ეხმიანება *სოციალური მოძრაობის თეორიას* (Tilly, 2004), რომელიც ხაზს უსვამს რეგიონებიდან წამოსული მოძრაობების გავლენას ფართო პოლიტიკურ დინამიკაზე და ინსტიტუციურ ცვლილებებზე.

ურთიერთქმედება, კოორდინაცია და ორგანიზება

ურთიერთქმედების, კოორდინაციისა და ორგანიზების ანალიზში შემდეგი სურათი გამოიკვეთა: GIPA-ს სტუდენტური მოძრაობის თქმით, მათ, გაფიცვის გარდა, სხვა თანამშრომლობის ფორმა არ ჰქონიათ, ხოლო კოორდინაციის ძირითადი საშუალება სოციალური ქსელი იყო, ისევე, როგორც სხვა მოძრაობებისთვის. ისინი თავიდანვე ყურადღებით არჩევდნენ, ვისთან ეთანამშრომ-

ლათ. შერჩევის პროცესში, ძირითადი ფილტრი იყო თანხმობა არაპარტიული ინტერესების შესახებ. აღნიშნავენ, რომ მსგავსი მოძრაობები უფრო მეტად სახელმწიფო უნივერსიტეტებშია, ვიდრე კერძოში, კონკრეტულად კი, პარტიული ინტერესების არსებობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიუთითებენ. ეს შენიშვნა ეხმიანება წინამორბედ კვლევას ქართული სტუდენტური მოძრაობების შესახებ, რომლის ფარგლებში, სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორისგან, პროფესორებისგან და სტუდენტური მოძრაობების წევრებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დასტურდება „ჭარბი სამთავრობო გავლენის არსებობა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში“ (ჯაფარიძე, 2024, გვ. 7), რაც, თავის მხრივ, განპირობებულია უმაღლესი განათლების მართვის მენეჯერული მოდელით, რომელიც სამთავრობო გავლენის გავრცელების მთავარ ბერკეტს წარმოადგენს (ჯაფარიძე, 2024). ამ პირობებში ვითარდება ლოგიკური ჯაჭვი, რომლის თანახმად, იქ, სადაც მეტი სამთავრობო გავლენაა, მეტად ნოყიერია ნიადაგი რადიკალურად განწყობილი ოპოზიციური ელემენტების არსებობისთვის. თუმცა, აღსანიშნავია, კრიტიკულ მომენტში მოძრაობებმა კონსენსუსს მიაღწიეს და ერთად დაიწყეს მოქმედება, რაც, ცალსახად, *კოლექტიური მოქმედების თეორიის* (Olson, 1965) გამოვლინებაა, სადაც ჯგუფები მათი გავლენის მაქსიმიზაციის მიზნით ერთიანდებიან. მოძრაობა „დაფიონს“ მჭიდრო კავშირი არ აქვს სხვა ჯგუფებთან და თანამშრომლობის ეპიზოდებს საკმაოდ დაძაბულად აღწერს. საქართველოს უნივერსიტეტის მოძრაობაში არსებობდა წარმომადგენელი, რომელიც შეხვედრებზე დადიოდა და ინფორმაციული გამტარი იყო. კავკასიის უნივერსიტეტის მოძრაობის დამფუძნებელი კი, მთავარი პირი იყო, რომელიც სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან ამყარებდა კონტაქტს, შემდეგ, აცნობდა ინფორმაციას მისი მოძრაობის წევრებს, რის შედეგადაც ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებებს. მაისის სტუდენტურ მოძრაობას მიმ-

დინრე პერიოდში ძირითადი შეხვედრები ჰქონდა ხელოვნების დარგის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, სადაც იყო კოალიციის შექმნის მცდელობა, მაგრამ საპროტესტო მუხტის მინავლებამ ეს შეაფერხა.

საქართველოს უნივერსიტეტის მოძრაობის ყოფილი წევრი ხაზს უსვამს ლოკაციის შერჩევის სირთულეს ღონისძიების ორგანიზების პროცესში. კავკასიის უნივერსიტეტის მოძრაობის წევრი კი საუბრობს რთულ პერიოდზე, როცა ყველაფრის კეთება ინდივიდუალურად უწევდა. ასევე, სხვა კრიზისულ პერიოდზე, მაგრამ საბოლოოდ მოძრაობა ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ჯგუფად გარდაიქმნა. მაისის სტუდენტური მოძრაობა, როგორც სხვა მოძრაობები, ორგანიზების პროცესის ორგვარ სახეს ასახელებს: დროის სიმცირის შემთხვევაში, მეორე დღესვე აქციების მოწყობა, ხოლო დროის არსებობის შემთხვევაში, ყოველდღიური აქტიური საინფორმაციო კამპანიები როგორც სოციალურ ქსელში, ასევე, ქუჩაში და უნივერსიტეტებში.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი სტუდენტურ მოძრაობებში

გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოძრაობა „დაფიონში“ ჰორიზონტალურია. თუმცა, რესპონდენტი ამაზე მეტად არ კონკრეტდება და არ საუბრობს გამონაკლისებზე, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესი რომ ყოველთვის წარმატებული იყოს, ამისთვის საკმარისი არ არის ჰორიზონტალურობის პრინციპი. *ორგანიზაციული თეორიის* (Scott, 1992) თანახმად, გადაწყვეტილების მიღების ჰორიზონტალურმა პრინციპმა შეიძლება, ხელი შეუწყოს ინკლუზიურობას, თუმცა, პროცესი ხშირად მკაფიო პროცედურებისა და მექანიზმების არსებობას მოითხოვს, რომლებიც დავების ან განსაკუთრებული შემთხვევების დროს გამოიყენება. საქართველოს უნივერსიტეტის მოძრაობაში, ასევე, ხმათა უმრავლესობით მიიღებოდა გადაწყვეტილებები. მაისის სტუდენტური

მოძრაობის წევრი უფრო ვრცლად აღწერს ამ პროცესს: მისი თქმით, ხანდახან, არც კი არის დავა, იმდენად მკაფიოა, თუ რა უნდა გაკეთდეს. ხანდახან, ჩნდება განსხვავებული აზრი, რომელსაც დასაბუთება სჭირდება, თუმცა, მსგავსი შემთხვევის მაგალითი ან დასაბუთება არ მოჰყავს. ამბობს, რომ ეს ძირითადად ონლაინ ჩატში ხდება და არის შემთხვევებიც, როცა პროცესი ძალიან ხანგრძლივია. იგი მიუთითებს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროებაზე.

პირველადი რესურსის მობილიზება სტუდენტური მოძრაობებისთვის

პროტესტისთვის საჭირო პირველადი რესურსის მობილიზებისთვის სტუდენტური მოძრაობები ყველაზე ხშირად პირად რესურსებს მიმართავენ. ზოგიერთ შემთხვევაში კი, საჯაროდ ავრცელებენ საბანკო ანგარიშს. ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა სოციალური მოძრაობების და ორგანიზაციების მხრიდან ხდება მათი მხარდაჭერა საჭირო ტექნიკით, სტიკერებით ან ბანერებით. თუმცა, მაგალითად, GIPA-ს სტუდენტი აღნიშნავს, რომ პროტესტისთვის საჭირო პირველადი რესურსი არ არის იმ მასშტაბის, რომ სხვისი დახმარება იყოს აუცილებელი და რომ ასეთი მცირე რესურსისთვის, არ ღირს, იყო სხვაზე დამოკიდებული. ეს მოსაზრება აზრს მოკლებული არ არის, რადგან თუკი მოძრაობაში ჩამოყალიბდება პრაქტიკა, რომ მინიმალური რესურსისთვის სხვისი დახმარება საჭიროა, გარკვეული დროის შემდეგ, ის შესაძლოა რეალურად მოწყვლადი გახდეს სხვა ჯგუფების მიერ გაწეული დახმარების მიმართ, რაც ჯაჭვურ რეაქციაში გადაიზრდება და თანამშრომლობის მიმართულებით, სხვა სახის ვალდებულებებს აჩენს. ეს პერსპექტივა ასახულია *რესურსებზე დამოკიდებულების თეორიაში* (Pfeffer & Salancik, 1978), რომელიც განიხილავს, თუ როგორ მართავენ ორგანიზაციები გარე რესურსდამოკიდებულების რისკებს.

სტუდენტური მოძრაობების ორგანიზაციული სტრუქტურა

GIPA-ს სტუდენტურ მოძრაობაში ორგანიზაციული პროცესები უპრობლემოდ განვითარდა. მოვალეობები და საქმე ბუნებრივად განაწილდა - უნარების და სურვილის მიხედვით, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, რათა სტრუქტურულად დახვეწილი სისტემა შეიქმნას, ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანია, თუნდაც, როტაციის პრინციპის დანერგვა, რათა სხვადასხვა წევრებმა სხვადასხვა საქმე აკეთონ, უნარები და ცოდნა ყველა შესაძლო მიმართულებით განივითარონ, რათა, საჭიროების შემთხვევაში, კრიტიკული სიტუაცია არ შეიქმნას. გარდა რესპონდენტის მიერ დასახელებული პრინციპისა, სტუდენტურ მოძრაობაში უმნიშვნელოვანესია წევრებს შორის იმ საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა, რომლებსაც ეფუძნება მათი მოთხოვნები. *სოციალური სწავლების თეორიის* (Bandura, 1977) თანახმად, საერთო ცნობიერების დონის ამაღლება მნიშვნელოვანია, რადგან ეს უშუალოდ არის დაკავშირებული ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობასთან, რომელიც სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით პრაქტიკულ და თეორიულ საფუძვლებს მოითხოვს. GIPA-ს სტუდენტურ მოძრაობაში სტრუქტურის დაგეგმვასა და დახვეწაზე მუშაობა ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება, რომლის მიზანია შეიქმნას ისეთი მოძრაობა, რომელშიც სტუდენტები მუდმივად გაწევრიანდებიან და საქმეს ერთმანეთს გადააბარებენ. მოქმედი წევრები თვლიან, რომ ისინი უბრალოდ დროის მოცემულ მომენტში ასრულებენ პასუხისმგებლობას, რასაც შემდეგ სხვა გააგრძელებს. „დაფიონის“ სტუდენტურ მოძრაობაში ორი ძირითადი მიმართულება არსებობს - საინფორმაციო და აქტივიზმი. ფიქრობენ მესამე - თავდაცვის ჯგუფის შექმნაზე. მაისის სტუდენტურ მოძრაობას არ აქვს მკაცრი ორგანიზაციული სტრუქტურა, თუმცა, შრომის დანაწილების კუთხით გეგმავენ მუშაობას. მაისის სტუდენტურ მოძრაობაში კი წამყვან ძალად ბუნებრივად იქცევა ის,

ვისაც აქციის ან პროცესების დინამიკაში მყისიერად მოქმედების და გადაწყვეტილებების მიღების უნარი აქვს.

დამოუკიდებელი და უსაფრთხო სამუშაო სივრცე, როგორც ჯანსაღი სტუდენტური მოძრაობის გარანტი

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ნებისმიერი დამოუკიდებელი ჯგუფის საქმიანობისთვის, არის დამოუკიდებელი და უსაფრთხო სამუშაო სივრცე, რომელიც მოძრაობების უდიდეს უმრავლესობას, ამ ეტაპზე, არ გააჩნია. GIPA-ს სტუდენტური მოძრაობა 2024–2025 სასწავლო წლიდან ახალი კამპუსის მოლოდინშია, სადაც, მათი თქმით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მათ სივრცით მხარდაჭერას გაუწევს. ისინი ამის იმედს გამოთქვამენ და ასევე, ნდობას ამ სივრცეში საქმიანობის წარმართვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. *სივრცითი თეორია* (Lefebvre, 1991) ხაზს უსვამს ფიზიკური გარემოს მნიშვნელობას სოციალური ურთიერთქმედებებისა და ორგანიზაციული დინამიკის ფორმირებაში. ასევე, იმას, თუ როგორ შეიძლება, განკუთვნილმა სივრცემ ხელი შეუწყოს ჯგუფის ერთიანობას და პროდუქტიულობას. მაისის სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წევრი, ძირითად სამუშაო და შეხვედრების სივრცედ კაფე „პრაქტიკას“ ასახელებს. თუმცა, ხანდახან, შეხვედრებს მართავენ უნივერსიტეტში ან სხვა ღია სივრცეშიც. მოძრაობის მეორე წევრი კი, ამბობს, რომ მათ დამოუკიდებელი და უსაფრთხო სამუშაო სივრცე არ გააჩნიათ.

სხვა სოციალურ მოძრაობებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ

ზოგიერთი სტუდენტური მოძრაობის კავშირი და ურთიერთქმედება სხვა სოციალურ მოძრაობებთან და ორგანიზაციებთან უფრო ინტენსიურია, ხოლო ზოგიერთი მინიმალური ურთიერთქმედებით ხასიათდება. მაგალითად, GIPA-ში ამბობენ, რომ ორგანიზაციებთან შეხვედრების რამდენიმე შემთხვევა ჰქონდათ, როცა პროტესტი მწვავე არ იყო და ამისთვის თავისუფალი დრო ჰქონ-

დათ. ეს შეხვედრები მოძრაობის საჭიროებების მხარდაჭერას ეხებოდა (მაგალითად, ბანერებით, სტიკერებით და ა.შ.). მოძრაობა „დაფიონს“ არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური კომუნიკაცია არ აქვს. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა ამგვარ კავშირს პირადი შეხვედრის საფუძველზე იწყებს, რაც შემდეგ სხვადასხვა პლატფორმებზე თანამშრომლობით გამოიხატება. მაისის სტუდენტურ მოძრაობას არ აქვს კავშირი არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მათ კავშირი აქვთ ისეთ სოციალურ მოძრაობებთან, როგორიც არიან რიონის ხეობის მცველები, ჭიათურელი მაღაროელები, მოძრაობა „ხმა“ და ერთეული გადაკვეთა სხვა ჯგუფებთან. მაისის სტუდენტური მოძრაობა და მოძრაობა „ხმა“ ინტენსიურად უჭერენ მხარს ერთმანეთის მოთხოვნებს და საჯაროდ აჟღერებენ მათ. ასევე, მუდმივია მათი პრაქტიკული თანამშრომლობა აქციების, მსვლელობების და სხვა აქტივობების დაგეგმვის პროცესში. ამ საერთო აქტივობების შესახებ მაისის სტუდენტური მოძრაობის წევრი საუბრობს.

ძირითადი მოთხოვნები

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მოძრაობებისთვის ევროინტეგრაციის და „კანონების კასკადის“ გაუქმების მოთხოვნა ცენტრალურია. თუმცა, მათ შორის არსებობენ მოძრაობები, რომელთა მოთხოვნები ჩამოყალიბების დღიდან უშუალოდ განათლების სისტემას მიემართება. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა ითხოვდა სტუდენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფას და განათლების დონის ამაღლებას. ასევე, სტატუსშეჩერებული სტუდენტების პრობლემის მოგვარებას. სახელმწიფოს მიერ სტუდენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნა ფუნდამენტურია მაისის სტუდენტური მოძრაობის ორ წლიან საქმიანობაშიც. ჩამოყალიბებიდან დღემდე, მოძრაობის მოთხოვნები ნაწილობრივ შეიცვალა. დაახლოებით, წელიწადნახევრის განმავლობაში მოძრაობის მიერ აქტიურად ჟღერდებოდა

ორი ფუნდამენტური მოთხოვნა: სტუდენტური საერთო საცხოვრებლის აშენება სახელმწიფოს მიერ და რექტორის არჩევის წესის ცვლილება:

„ ...ვითხოვდით ონლაინ სწავლებით დასრულებას არსებული სემესტრის, ახალი საერთო საცხოვრებლის მშენებლობას და რექტორის არჩევის წესის ცვლილებას.“ (მაისის სტუდენტური მოძრაობა. 28.06.2024)

მაისის სტუდენტურმა მოძრაობამ 2022 წლის დეკემბერში პირველად საჯაროდ გააჟღერა სტუდენტური სტიპენდიის გაზრდის მოთხოვნაც, როდესაც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჯაბა სამუშია, სტიპენდიანტ სტუდენტებს შეხვდა (ჯაფარიძე, 2023, გვ. 65 – 66).

დღევანდელ მოთხოვნებს შორის, მაისის სტუდენტური მოძრაობის წევრი ასახელებს: სტუდენტური სტიპენდიის, უმაღლესი განათლების და მეცნიერების დაფინანსების გაზრდას და უფასო სასკოლო კვებას (მოთხოვნის ავტორი: მოძრაობა „ხმა“). სტუდენტური საერთო საცხოვრებლის და სტიპენდიების გაზრდის მოთხოვნებს გარკვეული რეაგირება მოჰყვა, ხოლო რექტორის არჩევის წესის ცვლილება, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, ყურადღების მიღმა დარჩა:

„კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რექტორის არჩევის პროცედურა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში არ წარმოადგენს საკმარის პირობას აკადემიური გარემოს გაჯანსაღებისთვის. კვლევის ფარგლებში შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურისა და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, პირდაპირი დემოკრატიის პრინციპი აკადემიური გარემოს გაჯანსაღებისთვის აუცილებელი პირობაა.“ (ჯაფარიძე, 2023, გვ. 73; ჯაფარიძე, 2024, გვ. 9).

კვლევის ფარგლებში, სტუდენტური მოძრაობების მოთხოვნებს შორის ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მოძრაობამ მოთხოვნა შეკვეცა. ამ შემთხვევას ორი შესაძლო ახსნა აქვს: მოთხ-

ოვნის სირთულე ან მოძრაობის მხრიდან მისი აქტუალიზაციისთვის გაწეული არასათანადო ძალისხმევა. ამ შემთხვევაში, თუ რომელია მათ შორის მეტად სავარაუდო, ამის დადგენა შესაძლებელია მოძრაობის მიერ ორგანიზებულ აქტივობებს შორის შინაარსობრივი თანაფარდობის საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სასურველია, სცენარი განვითარდეს ისე, რომ მოთხოვნებთან დაკავშირებით გაწეული შრომა და ძალისხმევა მოძრაობამ რაციონალურად განკარგოს. ამ საკითხს დიდწილად ეხმიანება GIPA-ს სტუდენტური მოძრაობის წევრის სიტყვები (გვ.12), რომელიც გაერთიანების წევრთა შემადგენლობის ცვლილების ფონზე, მემკვიდრეობითობის და ღირებულებების შენარჩუნების პასუხისმგებლობას გულისხმობს. ეს, შეიძლება ითქვას, მოძრაობის მეხსიერების საკითხია, ისევე, როგორც წევრთა შორის მთელი გამოცდილების შესახებ ინფორმირებულობის პასუხისმგებლობა, რადგან ეს პირდაპირპროპორციულად აისახება როგორც მომავალში მიღებულ გადაწყვეტილებებსა და სტრატეგიებზე, ასევე, კრიტიკულ მომენტებში თანადროული რეაგირების უნარზე. ეს უკანასკნელი კი, როგორც მოძრაობების წევრების მიერ ითქვა, გავლენას ახდენს როლების ფორმირებაზე მოძრაობაში.

სტუდენტური მოძრაობების სამომავლო ფოკუსი

სტუდენტური მოძრაობები, რომლებიც „რუსულ კანონთან“ ბრძოლის ნიადაგზე ჩამოყალიბდნენ, გამოკვეთენ უმაღლესი განათლების და შიდასაუნივერსიტეტო პრობლემურ საკითხებს, რომლებიც მათი სამიზნე იქნება, როგორიც კი ეროვნული დონის გამოწვევებს გაუმკლავდებიან. GIPA-ს მოძრაობისთვის, ასეთია, მაგალითად, სწავლის გადასახადის საკითხი, ბიუროკრატიული პრობლემები, ინფრასტრუქტურა და სხვ. მათ ჰქონდათ მცდელობა, როდესაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შესაბამისი განცხადებებით მიმართეს, რასაც სამუშაო შეხვედრები მოჰყვა, თუმცა, როგორც ისინი ამბობენ, არცერთი მოთხოვნა არ შესრულებულა და

მდგომარეობა გაუარესდა. ისინი ფიქრობენ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მომავალში მხედველობაში მიიღებს სტუდენტების მოთხოვნებს, რადგან ისინი ითვალისწინებენ სტუდენტთა უმრავლესობის აზრს. „დაფიონის“ წევრი ამბობს, რომ „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოკუპირებულია მმართველი პარტიის და მათ მიერ მართული ძალადობრივი ჯგუფების მიერ“, რაც მათთვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. GIPA-ს სტუდენტური მოძრაობის და „დაფიონის“ მიერ აღნიშნული პრობლემა კიდევ ერთხელ ეხმიანება წინამორბედ კვლევას ქართული სტუდენტური მოძრაობების შესახებ. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტურ მოძრაობას, ამ ეტაპზე, შიდასაუნივერსიტეტო საკითხებთან დაკავშირებით სამომავლო გეგმები არ აქვთ, თუმცა, სტუდენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფას მოითხოვენ. მაისის სტუდენტური მოძრაობა კი, დაარსების დღიდან იყო ფოკუსირებული უმაღლესი განათლების და შიდასაუნივერსიტეტო პრობლემებზე.

მეთოდების და კონტექსტის თავსებადობა

სტუდენტური მოძრაობები მათი მოთხოვნებისადმი საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ. GIPA-ს სტუდენტურმა მოძრაობამ ვრცლად ისაუბრა ამ და სხვა საკითხების შესახებ. მათი საპროტესტო პრაქტიკა იწყება ადვოკატირების ფორმალური საშუალებებით (განცხადება ადმინისტრაციაში, ხელმოწერების შეგროვება) და ვითარდება აქციების, გაფიცვის და მსვლელობების ორგანიზების მიმართულებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, თუ მომავალში მათი უნივერსიტეტის სტუდენტების სურვილი ასეთი იქნება, ისინი უფრო მკაცრ ფორმებსაც მიმართავენ. თუმცა, იმედს გამოთქვამენ, რომ ეს საჭირო არ იქნება. „დაფიონი“ ასახელებს ბოიკოტს, გაფიცვას, სამოქალაქო დაუმორჩილებლობას და წინააღმდეგობას. მაისის სტუდენტური მოძრაობის მეთოდიკა მოიცავს საინფორმაციო წინააღმდეგობას,

აქციებს, სივრცის დაკავებას, გზის გადაკეტვას, მსვლელობას და სხვ.

საინფორმაციო უზრუნველყოფა

საინფორმაციო უზრუნველყოფის კუთხით, GIPA-ს სტუდენტური მოძრაობა, გარკვეული ნიშნით, ფილტრავს, თუ რომელ მედიასთან ითანამშრომლოს. არ თანამშრომლობენ სამთავრობო მედიასთან - არა მხოლოდ მათი ნარატივიდან გამომდინარე, არამედ უსაფრთხოების მიზნითაც, რადგან, ხშირად, რადიკალურ მედიაში გაშუქება მრავალმხრივ წნეხს იწვევს აქტივისტებსა და მათ გარემოცვაზე. ისინი იხსენებენ პროტესტის საწყის ფაზას, როდესაც მედიასივრცეში მოხვედრა, გარკვეულწილად, მონოპოლიზებული იყო პროტესტის გარკვეული ჯგუფების მიერ, რომლებიც უკვე იცნობდნენ ჟურნალისტებს ან მათთან საზიარო პარტიული სიმპათიები ჰქონდათ. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც სოციალური, ასევე ტრადიციული მედია. მაისის სტუდენტური მოძრაობა კი, ამბობს, რომ მათი საინფორმაციო აქტივობა სოციალურ მედიაზე დგას.

უთანხმოებები

უთანხმოების საკითხებთან დაკავშირებით, „დაფიონი“ იხსენებს შემთხვევას, როდესაც პარლამენტის წინ ჩართულ დაპირისპირებაში აღმოჩნდნენ, თუმცა, კონფლიქტს ესკალაციის საშუალება არ მისცეს, რადგან „ახლა ჩხუბის დრო არ არის“. მაისის სტუდენტური მოძრაობა კი, საუბრობს შიდა უთანხმოებებზე, რომლებიც რიგ შემთხვევებში თეორიული უთანხმოებიდან გამომდინარეობს, ხან კი, პირადი უთანხმოებიდან, რის შედეგადაც, ეტაპობრივად, მრავალმა წევრმა დატოვა მოძრაობა. ვინაიდან, სტუდენტური მოძრაობა მუდმივმოქმედი ცოცხალი ორგანიზმია, ეს არის სოციუმი, რომელიც, საქმიანობის პროცესში მაღალი სოციალური ურთიერთქმედებით ხასიათდება. შესაბამისად, მოძრაობების მიერ წამოჭ-

რილი საკითხები ბადებს შეკითხვებს: სად გადის ზღვარი პირად და საერთო პრობლემებს შორის? როგორ განისაზღვრება ისინი? უნდა იწვევდეს თუ არა პირადი უთანხმოება მოძრაობის წევრ(ებ)ის საქმიანობის პარალიზებას? ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ თუკი მოძრაობაში განვითარებულია ურთიერთობების და ღირებულებების კულტურა, რომელიც ყველა წევრს თანასწორად მიემართება, ყალიბდება სტაბილური სამუშაო გარემო და ურთიერთობები, ხოლო შიდა დონეზე სამართლიანობის და თანასწორობის განცდა აძლიერებს როგორც ბრძოლის მუხტს გარე ასპარეზზე, ასევე, რწმენას საკუთარი მოთხოვნებისადმი. ასეთ შემთხვევაში, ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ მოძრაობის წევრმა ხელი აიღოს ისეთ პრინციპულ და უანგარო საქმიანობაზე, როგორიც სტუდენტური აქტივიზმია. შიდა უთანხმოებების არსებობის შემთხვევაში, *სოციალური იდენტობის* (Tajfel & Turner, 1979) და *ორგანიზაციული ქცევის* (Schein, 2017) თეორიების ინტეგრირების შედეგად, შეგვიძლია, გავიგოთ, თუ როგორ მოქმედებს შიდა დინამიკა, ჯგუფის იდენტობა და ორგანიზაციული კულტურა სტუდენტური მოძრაობების მდგრადობასა და ეფექტურობაზე. იმ შემთხვევაში კი, თუ უთანხმოებები გარე ფაქტორებით არის განპირობებული, მოძრაობის ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს თანამებრძოლების შენარჩუნებისკენ.

თანამშრომლობის ფილტრები

მოძრაობა „დაფიონი“, მაისის სტუდენტური მოძრაობა და GIPA-ს სტუდენტური მოძრაობა ხაზგასმით აღნიშნავენ პარტიული ინტერესების მქონე ჯგუფებთან თანამშრომლობის პრობლემურობას. მაისის სტუდენტური მოძრაობის თქმით, მათი მხრიდან თანამშრომლობისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია სოციალური პრობლემებისადმი მაღალი მგრძნობელობა.

პოტენციური განვითარების სცენარები

პოტენციური განვითარების სცენართან დაკავშირებით „დაფიონი“ ფიქრობს, რომ მხოლოდ ბოიკოტი და გაფიცვაა შედეგის მომტანი. 2024 წლის 18 ივლისს ცნობილი გახდა, რომ მოძრაობა „დაფიონის“ თანადამფუძნებელი, ზვიად ცეცხლაძე, რომელიც წინამდებარე კვლევის რესპონდენტია, უკრაინაში საბრძოლველად წავიდა (პუბლიკა, 2024). საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა არასამთავრობო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. კავკასიის უნივერსიტეტის მოძრაობა კი, მზადყოფნას აცხადებს, იყოს იქ, სადაც საჭირო იქნება. მაისის სტუდენტური მოძრაობა არააქტიურ პერიოდში, ე.წ. „შავი სამუშაოს“ პერიოდში, ცდილობს, მეტი ადამიანი მოიზიდოს, რათა აქტიური წინააღმდეგობისთვის მოემზადოს, რომელიც სტუდენტური საცხოვრებლისთვის ბრძოლაში გამოიხატება.

სტუდენტური მოძრაობები, მათი აზრით, ყველაზე მეტად და ნაკლებად სავარაუდო და მოულოდნელი სცენარების შესახებ საუბრობენ. „დაფიონი“ ფიქრობს, რომ ყველაზე ნაკლებად სავარაუდო არჩევნების გზით ცვლილებაა, ხოლო გაყალბებული არჩევნების შემდეგ, მასშტაბურ საპროტესტო ტალღას პროგნოზირებენ. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობის ყოფილი წევრი ფიქრობს, რომ საქართველოს ევროინტეგრაცია დღეს და ხვალ არ მოხდება, რადგან ამას, პირველ რიგში, ხელისუფლების ცვლილება სჭირდება. მაისის სტუდენტური მოძრაობა ფიქრობს, რომ არსებული ხელისუფლება შეინარჩუნებს ძალაუფლებას, კანონებს მხოლოდ მასშტაბური პროტესტის შედეგად გაიწვევენ, რომელიც ქვეყნის მასშტაბით უნდა გაიმართოს. პროტესტის მასშტაბის ზრდის გზას კი, მხოლოდ ისეთი საკითხების გააქტიურებაში ხედავენ, როგორიც არის საცხოვრებლის უფლება, მინიმალური ხელფასი, პროგრესული გადასახადები, ანუ, კლასობრივი პრობლემები. თუმცა, საკითხავია, რამდენად ექნება საზოგადოებას ამგვარი მიდ-

გომის მიმღებლობა - იბრძოლო ევროპული მომავლისთვის, მემარცხენე იდეოლოგიით. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა თვლის, რომ მოულოდნელი იქნება, თუ რომელიმე ოპოზიციური პარტია არჩევნებზე ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვებს, რადგან მათ მიმართ საზოგადოების ნდობა დაბალია. მაისის სტუდენტური მოძრაობის წევრის აზრით, მოულოდნელი იქნება უბრძოლველად მიღებული კეთილდღეობა, კანონის ერთ დღეში გაუქმება და პროგრესული სოციალური სისტემის დაწესება. მეორე წევრი კი, ფიქრობს, რომ მოულოდნელი იქნება ევროინტეგრაციის შანსების საბოლოოდ დაკარგვა.

ქართული პოლიტიკის განვითარების ხედვები

ქართული პოლიტიკის განვითარებასთან დაკავშირებით, „დაფიონი“ ფიქრობს, რომ უნდა შეიქმნას პლატფორმა, რომელიც ახალგაზრდების სათქმელს პოლიტიკურ ძალად თარგმნის. ასევე, საქართველოს უნივერსიტეტის მოძრაობის ყოფილი წევრი ფიქრობს, რომ ახალგაზრდა, ჭკვიანი ადამიანები უნდა გამოვიდნენ ასპარეზზე. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობის ძალისხმევა მიმართულია არჩევნებისკენ. მაისის სტუდენტური მოძრაობა აცხადებს, რომ პოლიტიკის განვითარება უნდა დაეყრდნოს ქვემოდან წამოსულ წინააღმდეგობას და სახალხო კლასობრივ ინტერესებს (ჯანდაცვა, საკვები, განათლება, საცხოვრებელი). წევრის აზრით, „საქართველომ თვალი უნდა გაუსწოროს, რომ პერიფერიული კოლონიზებული ქვეყანაა, რომლის ბუნებრივი რესურსები, უმეტესად, რუსეთის ხელშია, ხოლო ფინანსური კაპიტალი დასავლური კომპანიების და რომ ჩვენ ვიმართებით გლობალური ძალების მიერ, რაც უნდა დასრულდეს“ (მაისის სტუდენტური მოძრაობა. რესპონდენტი 1. 28.06.2024).

მოძრაობების განსაკუთრებული მახასიათებლების თვითრეფლექსია

სტუდენტური მოძრაობები განსაკუთრებული მახასიათებლების თვითრეფლექსიას გვთავაზობენ. მაგალითად, GIPA-ს სტუდენტური მოძრაობა სხვა უნივერსიტეტებისგან იმით განსხვავდება, რომ უნივერსიტეტში ერთადერთი მოძრაობაა, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს, რომ საკმარისად ახერხებენ უმრავლესობის სათქმელის არტიკულირებას. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან სტუდენტური მოძრაობის ნიშა, სტუდენტური ქსოვილის ბუნებიდან გამომდინარე, არის ადგილი, სადაც ყველას ხმისთვის უნდა მოიძებნებოდეს ადგილი. ეს პირდაპირპროპორციულად აისახება მოძრაობის ლეგიტიმურობაზე და მისი გენერალიზებისთვის ამოსავალი წერტილია. სტუდენტური მოძრაობის ლეგიტიმურობის მეორე ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს დროთა განმავლობაში მისი წევრების რაოდენობის ზრდაც (McAdam et al., 1996).

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა თვლის, რომ ის იყო პირველი, რომელიც ამ ხელისუფლებასთან ბრძოლისთვის შეიქმნა, სადაც თავიდან მრავალი აქტივისტი იყრიდა თავს. მაისის სტუდენტური მოძრაობა კი, თვლის, რომ უნიკალურია გამოცდილებით და მოთხოვნებით, რადგან სტუდენტური საცხოვრებლის მოთხოვნის გარშემო გაერთიანების სხვა პრეცენდენტი მათთვის ცნობილი არ არის. ამ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტურ მოძრაობებს შორის არსებობს ცნობადობის და კოორდინაციის ბარიერი, ვინაიდან, როგორც იკვეთება, ისინი ცალცალკე და თანადროულად შეიძლება იბრძოდნენ საერთო მოთხოვნის გარშემო და ასევე, არ იცნობდნენ მოძრაობებს, რომლებიც არც ისე შორეულ წარსულში იზიარებდნენ ანალოგიურ მოთხოვნებს, როგორიცაა სტუდენტური საერთო საცხოვრებელი.

დისკუსია

სოციალური მოძრაობის თეორია:

სტუდენტური გაერთიანებები საქართველოში ავლენენ სოციალური მოძრაობების ძირითად მახასიათებლებს, მათ შორის, კოლექტიურ იდენტობას და საერთო მიზნებს. კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტების საპასუხოდ, მოძრაობების ჩამოყალიბება ხაზს უსვამს მათი, როგორც სოციალური ცვლილებების აგენტების როლს. წევრების მდგრადი ჩართულობა კი, მოძრაობის მიზნებისადმი მათ ერთგულებას გამოხატავს.

რესურსების მობილიზაციის თეორია:

რესურსების მობილიზების უნარი სტუდენტური გაერთიანებების წარმატებულობისთვის გადამწყვეტია. საქმიანობის წარმართვისთვის სოციალური მედიისა და კავშირების გამოყენება გავრცელებული პრაქტიკაა. ისევე, როგორც პირადი რესურსებით და შემოწირულობებით სარგებლობა.

პოლიტიკური შესაძლებლობების თეორია:

საქართველოში არსებული პოლიტიკური გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტური გაერთიანებების სტრატეგიებსა და ეფექტურობაზე. მთავრობის ქმედებები და საზოგადოების რეაგირება სტუდენტური მოძრაობებისთვის შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს ქმნის. პოლიტიკური შესაძლებლობების გავლენა მათ სტრატეგიებზე ხაზს უსვამს დინამიურ ურთიერთქმედებას სტუდენტთა აქტიურობასა და ფართო პოლიტიკურ კონტექსტს შორის.

გავლენა პოლიტიკურ დისკურსზე:

სტუდენტურ გაერთიანებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ეროვნულ პოლიტიკურ დისკურსზე საქართველოში. მათ მიერ განათლების რეფორმებისა და უფრო ფართო პოლიტიკური საკითხების ადვოკატირება ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკური დებატების წარმოქმნას. სტუდენტური გაერთიანე-

ბების როლი ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშეწყობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპული მისწრაფებების კონტექსტში.

დასკვნა

კვლევა მოიცავს სტუდენტური გაერთიანებების როლის სიღრმისეულ ანალიზს საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტში, ხაზს უსვამს მათ ორგანიზაციულ დინამიკას, მოტივებსა და გავლენას. სოციალური და პოლიტიკური თეორიების გამოყენებით, კვლევა გვთავაზობს ახალ შეხედულებებს ამ გაერთიანებების ფუნქციონირებისა და გავლენის შესახებ. სამომავლო კვლევისთვის იკვეთება ისეთი საკითხები, როგორიც არის მიმდინარე სცენარის გრძელვადიანი განვითარება და საერთაშორისო გამოცდილების შედარებითი ანალიზი, რათა სტუდენტური აქტივიზმის რეალური და პოტენციური როლის აღქმა მრავალმხრივი იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

Alexander, J. C. (2004). Cultural trauma and collective identity. In J. C. Alexander, R. Eyerman, B. Giesen, N. J. Smelser, & P. Sztompka (Eds.), Cultural trauma and collective identity (pp. 1-30). University of California Press.

Bandura, A. (1977). Social learning theory. Prentice-Hall.

Goffman, E. (1974). Frame analysis: An essay on the organization of experience. Harvard University Press.

Levitsky, S., & Way, L. A. (2010). Competitive authoritarianism: Hybrid regimes after the Cold War. Cambridge University Press.

Lefebvre, H. (1991). The production of space. Blackwell Publishing.

McCarthy, J. D., & Zald, M. N. (1977). Resource mobilization and social movements: A partial theory. American Journal of Sociology, 82(6), 1212-1241.

Norris, P. (2019). Backlash theory. Annual Review of Political Science, 22, 309-330.

Olson, M. (1965). The logic of collective action: Public goods and the theory of groups. Harvard University Press.

Pfeffer, J., & Salancik, G. R. (1978). The external control of organizations: A resource dependence perspective. Harper & Row.

Schein, E. H. (2017). Organizational culture and leadership (5th ed.). Jossey-Bass.

Scott, W.R. (1992). Organizations: Rational, natural, and open systems (4th ed.). Prentice-Hall.

Tajfel, H., & Turner, J. C. (1979). An integrative theory of intergroup conflict. In W. G. Austin & S. Worchel (Eds.), The social psychology of intergroup relations (pp. 33-47). Brooks/Cole Publishing Company.

Tarrow, S. (1998). Power in movement: Social movements and contentious politics (2nd ed.). Cambridge University Press.

Tilly, C. (2004). Social movements, 1768-2004. Boulder, CO: Paradigm Publishers.

Japharidze, A. (2024). Student Movement in Georgia. *Politics/პოლიტიკა, 7.*

ჯაფარიძე, ა. (2023). სამთავრობო გავლენის ასახვა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში: აკადემიური მენეჯერიალიზმი. გამოუქვეყნებელი ნაშრომი.

პუბლიკა. (2024, 18 ივლისი). სტუდენტური მოძრაობა „დაფიონის“ თანადამფუძნებელი ზვიად ცეცხლაძე უკრაინაში საბრძოლველად წავიდა. [@publika.ge]. https://www.instagram.com/p/C9jmWeEoMN2/?hl=en

Ana Japharidze

The role of student unions in the formation of a new political scenario and their impact on the struggle for the European future in Georgia

Abstract

The study examines the role of student unions in Georgia's political landscape, focusing on their organizational dynamics, motivations, and influence. Using social movement, resource mobilization, and political opportunity theories, the study analyzes how student unions influence national discourse and Georgia's European aspirations. The study highlights the collective identity of student movements, their resource mobilization strategies, and their response to political opportunities, presenting them as agents of social and political change.

Keywords: Student Movements in Georgia, European Integration, Social Movements.